# ჩვენი გზა

№ 28

თფილისი

1907

სამშაბათი, 9 ოქტომბერი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე. დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.
ადრესი: Тифлис, контора редакцiи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

№ 28 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 28

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ჩვენი გზა

**გამოდის თფილისში 1907 წლის 2 სექტემბრიდან.**

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11 დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора редакцiи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორა დაბეჯითებით აცხადებს, როგორც აგენტების, ისე სხვათა საყურადღებოთ, რომ ფული უსათუოდ შემდეგ ადრესზე უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія „Сорапань“ НЕСТОРУ КИШВАРДІЕВИЧУ ЦИНЦАДЗЕ.

„ჩვენი გზის“ რედაქციაში მომუშავენი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და ამხანაგებს ძვირფასი ამხანაგის

**ვარლამ გიგაშვილის** (ვანო ნემსაძის)

გარდაცვალებას. (2—უ—1).

თფილისის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის საბჭო გულითადი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს გარდაცვალებას

**რაჟდენ დიანოსის ძე შენგელიასას.**

გასვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—უ—1).

თფილისელი ამხანაგები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, უდროოთ გარდაცვალებას დაუვიწყარი ამხანაგის

**ვარლამ გიგაშვილისას**

(იგივე ვანო ნემსაძე). (2—უ—1).

ყოველ-კვირეული იუმორისტული კარიკატურებიანი ჟურნალი

**ეკალი**

გამოვა ყოველ შაბათობით

რედაქცია თხოვს პროვინციის ამხანაგებს მიაწოდონ რედაქციას პროვინციის ამბები.

ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА НА 1907 ГОДЪ НА

**ТОРГОВУЮ ГАЗЕТУ**

„Торговая газета“ имѣетъ своей ближайшей задачей обслуживаніе торговопромышленныхъ нуждъ Кавказа.

„Торговая газета“ даетъ статьи и по общимъ злободневнымъ вопросамъ мѣстной и обще-государственной жизни.

„Торговая газета“ выходитъ еженедѣльно.

„Торговая газета“ обязательно доставляется въ правительственныя, общественныя и коммерческія учрежденія авказа.

Адресъ редакціи и конторы: Тифлисъ. Домъ Грузинскаго дворянства. Телефонъ № 1044.

Пріемъ подписки, объявленій и розничная продажа „Торговой Газеты“ производится въ слѣдующихъ агентствахъ:

Екатеринодаръ: книжный магазинъ Мееровича, Красная ул.,

Елизаветполь: книжный магазинъ Гаджи-Гасанова.

Гори: книжный магазинъ Арчвадзе.

Эривань: книжный магазинъ Арт. Месанова.

მედიცინის დოქტორი

**ს. ა. ლიური**

საიმპერატორო სამხედრო-საექიმო აკადემიის კლინიკის ყოფილი ორდინატორი **ყურის, ყელის და ცხვირისა** იღებს ყოველდღე ავათმყოფებს დღის 1—2 ს. და საღამოს 5—7 ს. პეტერბურგის ქ, № 10. ტელეფ. № 595.

ექიმი

**ივ. გომართელი**

პირველი ოქტომბრიდან ღებულობს ავათმყოფებს თფილისში.

გოლოვინის პროსპექტი, თამამშევის სახლი № 83.

კბილის ექიმი

**სამსონ ვაშაყმაძე**

გადავიდა ვოგზლის ქუჩაზე № 10, სლივიცკის სახლში.

ავათმყოფებს მიიღებს ყოველ დღე, დილით 9—1 საათ. და საღამოთი 4—6 ს. (თვ.)

**გამოცდილი მასწავლებელი** ამზადებს მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა საშუალო და დაბალი სასწავლებლისათვის. ამზადებს აგრეთვე სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

ადრესი: გოლოვინის პროსპექტი, სახლი № 28 ბინა № 3, ეზოში.

**გამოცდილი მასწავლებელი**

ამზადებს და წრთვნის მოაწავლე ქალ-ვაჟთ ყველა **საშუალო სასწავლებლის მეექვსე კლასამდის**; აგრეთვე ამზადებს სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

**ადრესი:** უდელნი ქუჩა № 18, თურქიას ბინა.

**ქუთაისში**

ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებას მოითხოვოს **ფირალოვის** პაპიროსი „**სიმპატია**“ და „**ინტელიგენტი**“, რომელიც საზღვარგარეთის საუკეთესო პლანტაციების არომატიული თუთუნისაგანაა შეზავებული და პროგრესიულათ გაუმჯობესებული.

პატივისცემით **ძმ. ფირალოვები.**

10—ნ—1.

ადიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ ივ. გომელაურის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო

სკოლებში შესასწავლი

**ქართველი მწერლები**

მათი სურათებით და ბიოგრაფიებით.

წიგნი პირველი,

მეორე გამოცემა, შევსებული და შესწორებული. შეიცავს 416 გვერდს და **ღირს ყდით თოთხმეტი შაური.** მაღაზიებს და სასწავლებლებს დაეთმობა 20 პროცენტი.

ამ წიგნის საწყობი იმყოფება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა). ადრესი: Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди грузинскаго населенія. (0—ნ—7)

### მუშების თათბირი ნავთის მრეწველებთან ბაქოში

ამ მოკლე ხანში ქ. ბაქოში უნდა შედგეს ე. წ. თათბირი მუშათა წარმომადგენლებისა ნავთის მრეწველებთან. მიზანი ამ თათბირის კაპიტალისტებსა და მუშებს შორის დამოკიდებულების მოწესრიგებაა. ნავთის მრეწველობას რუსეთის ეკონომიური ცხოვრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მის ნორმალურ მიმდინარეობაში დაინტერესებულია, როგორც კაპიტალისტები, ისე მთავრობა. მარა ამ უკანასკნელ წლებში მომხდარმა ხშირმა გაფიცვებმა და აგრეთვე სომეხ-თათართა შეტაკებებმა შეაფერხეს ნავთის მრეწველობა. კაპიტალის ტუზები კარგა ხანია მთავრობისაგან თხოულობდენ დახმარებას, საქმეში ჩარევას და მუშების დაშოშმინებას. მარა მარტო რეპრესიული ზომების მიღებით რომ საქმე არ გამობრუნდებოდა—ეს ყველამ კარგათ იცოდა და აი, კიდევაც მთავრობამ ნება დართო კაპიტალისტებს და მუშებს მოილაპარაკონ ერთმანეთს შორის, გამოიმუშავონ და შეთანხმდენ ისეთ პირობებზე, რომლებიც უზრუნველყოფს მრეწველობის ნორმალურ მიმდინარეობას. მუშებს ნება ეძლევა გამართონ კრებები, მოილაპარაკონ თავიანთ მოთხოვნილებებზე და აირჩიონ წარმომადგენლები, რომლებიც მოლაპარაკებას გამართავენ კაპიტალისტებთან, და ამ მოლაპარაკების შედეგზე შემდეგ მოხსენებებს გააკეთებენ მუშებში. ერთი სიტყვით, მუშათა წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ თათბირში, მჭიდროთ დაკავშირებული იქნებიან მუშათა ფართო მასსასთან.

როგორ უნდა შეხედოს სოც.-დემოკრატიამ ამ მოვლენას?

ამის შესახებ ბაქოს სოც.-დემოკრატებში ორნაირი აზრი ტრიალებს. ბოლშევიკები გაიძახიან: ბოიკოტი თათბირს! და მუშებს მოუწოდებენ მონაწილეობა არ მიიღონ შიგ. მენშევიკები კი მონაწილეობის მომხრე არიან.

ბოიკოტი ბოლშევიკებისთვის ყოველთვის ის თილისმა იყო, რომელიც ადვილათ და ერთი დაკვრით წყვეტდა რთულ ტაქტიკურ პრობლემებს. ბოიკოტი სახელმწიფო დუმას, ბოიკოტი უნივერსიტეტის ავტონომიას, ბოიკოტი მუშების თათბირს ხაზეინებთან—აი მათი ტაქტიკური ფილოსოფია! ბოლშევიკების ფიქრით მუშები თუ თათბირში მონაწილეობას მიიღებენ, ამით მათ შორის მოდუნდება ბრძოლის წყურვილი, მუშები კაპიტალისტებთან მორიგების გზას დაადგებიან. მათი აზრით, თათბირში მონაწილეობის მიღება გარყვნის მუშათა კლასობრივ შეგნებას, დასცემს მათ რევოლიუციონურ ენერგიას.

რა მოხდება ნამდვილათ?

43 ათასი მუშა მონაწილეობას მიიღებს თავის კლასიურ მოთხოვნილებების გამომუშავებაში, ისინი აირჩევენ 400-მდე წარმომადგენლებს, რომლებიც მათი სახელით კაპიტალისტებს წარუდგენენ და დაიცავენ ამ მოთხოვნილებებს. ეს თათბირი შეიქნება მუშათა მასსის ყურადღების ცენტრი, ყველა აშკარათ და ნათლათ დაინახავს უფსკრულს, რომელიც არსებობს კაპიტალსა და შრომის შორის. თუ ეხლა მუშები ნაწილ-ნაწილათ მართავენ გაფიცვას, დაფანტული და დანაწილებული ეწევიან კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლას და ხშირათ უკუქცეული რჩებიან, ვინაიდან არ აქვთ საკმაო კლასიური შეგნება და არ მოეპოებათ ძლიერი კლასიური ორგანიზაცია, რაც აუცილებლათ საჭიროა კაპიტალთან ნაყოფიერი ბრძოლისათვის, თათბირი და მისი შესაფერათ გამოყენება ხელს შეუწყობს ამ ნაკლის შევსებას. ამ თათბირში მუშათა მასსა დაუპირდაპირდება თავის კლასიურ ანტაგონისტებს—კაპიტალისტებს, ის ხელს შეუწყობს მუშათა ეკონომიური ბრძოლის გაერთიანებას და პარტიზანული ბრძოლის ალაგას წინ წამოდგება მუშათა მასსის მწყობრი გალაშქრება კაპიტალის წინააღმდეგ. ასეთ საშუალებას სოციალ-დემოკრატიამ გვერდი არასოდეს არ უნდა აუხვიოს. პირიქით, მას მაგრათ უნდა ჩასჭიდოს ხელი და გამოიყენოს იგი მუშათა გაერთიანებისა და კლასიური შეგნების განვითარებისათვის. მისი უარისყოფა მომაკვდინებელი ცოდვა იქნება. მთავრობის რეაქცია სულ უფრო და უფრო უზღუდავს პროლეტარიატს ბრძოლის ასპარეზს და ისეთი საშუალება, როგორიც არის თათბირი და მისი გამოწვეული ნებადართული მუშების ფართო კრებები, ჩვენ არასოდეს არ უნდა უარვყოთ.

## ახალი ამბები

**არჩევნების შედეგი.** 7 ოქტომბერს ზუბალაშვილის სახლში მოხდა რუსთა კურიის ახალი არჩევნები. შედეგი არჩევნებისა საზოგადოთ ასეთია: სოც.-დემოკრატებმა მიიღეს 648 ხმა, პროგრესისტებმა—118, რუსთა კავშირმა—348; პატრიოტებმა—922 და უცნობებმა 130. ამნაირათ, აბსოლიუტური უმეტესობა კიდევ არც ერთ პარტიას არ მიუღია. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო სულ 2161 ამომრჩეველმა. რომელიმე პარტიას რომ გაემარჯვნა, უნდა მიეღო 1181 ხმა. ასე რომ, ხელმეორეთ კენჭის ყრა აუცილებელია.

როგორც ამბობენ, ხელმეორე კენჭის ყრა უნდა მოხდეს 14 ოქტომბერს, მხოლოდ დეპუტატის არჩევა 21 ოქტომბერს. ჯერ ოფიციალურათ ამნაირი განკარგულება არ მომხდარა.

✦ **ტუსაღის გაქცევა.** 7 ოქტომბერს საღამოს 5 ს. და 40 წ. სომხის ბაზრის და პრიკაზჩიკების ქუჩის შესახვევთან, როდესაც სამოსამართლო პალატიდან № 452 ეტლით ორ ჯარის კაცს კავკასიის 4 მსროლელთა რაზმისას მოჰყავდათ პოლიტიკური ტუსაღი სერგო მურგინი, უცნობ ბოროტგამზრახველებმა ეტლის წინ ყუმბარა გადისროლეს, ამ დროს როგორც ტუსაღი აგრეთვე ორი ჯარის კაციც ეტლიდან გადმოცვივდენ. არევ-დარევით მურგინს უსარგებლია, გაქცეულა და მიმალულა; ჯარის კაცებს გაქცეულისათვის სროლა აუტეხიათ, თუმც უნაყოფოთ. დაჭერილი სხვა არავინ არ აღმოჩენილა.

✦ **გასამართლება.** როგორც მკითხველებმა იციან, 6 ოქტომბრიდან ირჩეოდა საქმე ს.-დ. სამხედრო ორგანიზაციის წევრებისა თფილისის სასამართლო პალატაში. პასუხისგებაში, იყო მიცემული 13 კაცი. ამათგან ერთი ქედკოვი არ გამოცხადებულა; დანარჩენებთაგან: სერგო მურგინისათვის და ნიკოლოზ ვასილევისათვის გადაუწყვეტიათ 4 წლით კატორღა; ნიკოლოზ სურკოვს —სამუდამოთ გადასახლება ციმბირში; კონსტანტინე შაკულაშვილს, ალექსანდრე იანსოვს, დავით ფერაძეს და ალექსანდრე კუსაშვილს წელიწად ნახევარი ციხე, იანსოვს ამ ვადაში ეთვლება ის დრო, რაც მას ციხეში დღემდე გაუტარებია. ალ. თუმანოვს—1 წლით ციხე იმას გარეთ რაც მას აქნობამდისგაუტარებია ციხეში. დანარჩენები—ივანე ჯანაშვილი, გიორგი კაჭახიძე, ვლ. ჩხენკელი და ერთიც სხვა გაამართლეს. საქმე ირჩეოდა წოდებათა წარმომადგენლების თანდასწრებით: კოკჩაევი, თავ. თუმანოვი და დიღომის მამასახლისი მანუჩაროვი. ბრალდებულთ იცავდენ: გრუზენბერგი, ჯაფარიძე და ბროცკი. საქმის გარჩევა გაგძელდა ორ დღეს, გათავდა კვირას 7 ოქტომბერს საღამოს 5 ს. 30 წ.

✦ **მუშის დასაფლავება.** ბაქოში დიდი ამბით დაასაფლავეს მუსულმანი მუშა ხანლარი. პროფესიონალურმა გაზეთმა „გუდოკმა“ განაცხადა, რომ ხანლარი მოკლულ იქნა დაქირავებულ მკვლელის ხელით, როგორც ერთ-ერთი, მუშათა საქმისათვის თავდადებული წევრი ნავთის წარმოების მუშათა კავშირისა. მკვლელობაზე მუშებმა გაფიცვით უპასუხეს. პროცესიას ამშვენებდა 25 გვირგვინი წითელი ლენტებით. ყველა ეროვნების მუშათა მრავალ ათასოვანი მასსა მიაცილებდა ცხედარს სიმღერით „ვი ჟერტვოი პალი“. საფლავზე წარმოთქმულ იქნა სიტყვები, რომლებშიაც გულისწყრომას უცხადებდენ მკვლელებს („უტ.“).

✦ **უმაღლესი კურსები.** დღეს, საღამოს 7 საათზე, მეორე ვაჟთა გიმნაზიაში ბ. პლატონოვი წაიკითხავს მესამე ლექციას: „საერთო მიმოხილვა რელიგიათა წარმოშობის თეორიებისა და პოლიტიკური თეორია“. 8 სათიდან კი ნაფიცი ვექილი ათაბეკოვი წაიკითხავს პირველ ლექციას „ფინანსიურ უფლებაზე“.

✦ **ობლების შესახებ.** 7 ოქტომბერს მოხდა კრება სომხურ ქალთა ობლებზე სამზრუნველო საზოგადოებისა. საზოგადოებას ჰყოლია 12 ობლათ დარჩენილი, ესენი მოთავსებული ყოფილან თფილისის სხვა და სხვა სასწავლებლებში; სამი თვის განმავლობაში საზოგადოებას მათზე დაუხარჯავს 1700 მან. კრებას გადაუწყვია მათ შემდეგში შესანახათ 2600 მან. ძირითადი თანხა საზოგადოებას ბანკში ქონია 5900 მან.

✦ **პროვინციიდან ცნობა.** როგორც ქუთაისიდან გვატყობინებენ 6 ოქტომბერს სოფ. ბეროულში (ოზურგეთის მაზრა) რამოდენიმე შეიარაღებულ ბოროტ-მომქ-

მედებს მოუკლავთ ორი სტრაჟნიკი და ერთიც დაუჭრიათ. ამის გამო მაზრის უფროსი გამგზავრებულა ადგილობრივ საქმის გამოსაძიებლით.

**სომხური წარმოდგენა.** სომხის დრამატიული საზოგადოებას თფილ. გუბერნატორისაგან მიუღია ნებართვა „ექიმ შტოკმანის“ წარმოდგენისა თფილისში. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ბაქოს გამოჩენილი არტისტი აბელიანი.

**ნოქრების საზოგადო კრება.** 7 ოქტომბერს შესდგა ნოქრების ურთიერთა დამხმარე საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. კრებამ შემდეგი დადგენილება მიიღო: 1) მიღებულ იქნას საზოგადოების წესდება შეცვლილი და დამატებითი მუხლებით; 2) აირჩიეს ახალი გამგეობა და 3) გადასწყვიტეს სკოლის გახსნა სამრეწველო-სავაჭრო დაწესებულებებში მოსამსახურეთა შვილებისათვის.

**ნაძალადევის რწმუნებულთა წინადადება.** ქალაქის გამგეობას ნაძალადევის რწმუნებულებმა 18 ოქტომბერს წარუდგინეს უკანასკნელი კატეგორიები სამოსახლო ადგილებზე ფასების რაოდენობისა. მთელი მიწა 18 ჯგუფათ ყოფილა გაყოფილი; უმთავრესი ნორმა ფასისა ოთხ-კუთხ საჟენზე 8 მანეთი; უმცირესი 30 კაპეიკი. რწმუნებულები წინადადებას აძლევენ გამგეობას ამნაირი განაწილება ადგილების ფასებისა დაამტკიცოს ქალაქის საბჭომ.

**შეპყრობა.** ადგილობრივ პოლიციას შეუპყრია სამი კაცი: სიმონ არჩვაძე, არმენაკ საფაროვი და გენეოზ რობაქიძე, რომელზედაც ეჭვი მიუტანიათ, ვითომ მათ მონაწილეობა მიეღოთ 6 ოქტომბერს სომხის ბაზარში არუთინოვის სავაჭროს გაძარცვაში.

6 ოქტომბერს, დილის 12 ს., თფილისის სადგურის მახლობლათ ფინური დანით მოუკლავთ შუშის მცხოვრებთ ფენიკს ფატალიბეკოვი. მკვლელი სპარსეთის ქვეშევრდომი მაშადი აბდულ მამედ ალა-ოღლა იქვე შეუპყრიათ დანით ხელში.

6 ოქტომბერს პოლიციას შეუპყრია ბაგრატ ლობარტკოვი, უკანასკნელს ორ სხვასთან ერთათ მონაწილეობა მიუღია მნაცაკან შიშმანიანცის გაძარცვაში კრწანის ქუჩაზე და გაუტაცნიათ 58 მ. 25 კაპ.

6 ოქტომბერს პოლიციას შეუპყრია კოვნოს გუბერნიის მცხოვრები მიხეილ ბისლოსი. მას სცმია პალტო, გამოტაცებული 1-ლ ოქტომბერს ქალ. ნოვობაიაზეთის მცხოვრებ ვაგან გორტოიანისა.

7 ოქტომბერს პოლიციას შეუპყრია ვიატკის გუბერნიიდან გამოქცეული თფილისის მცხოვრები იაკოფ გორგიჯანოვი, უკანასკნელი გადასახლებული ყოფილა გუბერნატორისაგან ვიატკის გუბერნიაში ფულის მუქარით გამოტაცების გულისათვის.

6 ოქტომბერს საღამოს 7 ს. ანდრონიკოვის შესახვევში თფილისის მცხოვრებ ვართან ადიშანცს თავს დასხმიან 4 უცნობი ბოროტ გამზრახველი შეიარაღებულნი და ფული მოუთხოვნიათ მისთვის, რადგანაც ადიშანცს მოუსწრია თავის დროს დაყვირება, მძარცველები გაქცეულან და ვერაფერი ვერ წაუღიათ.

## საარჩევნო კამპანია.

30 სექტემბერს, პეტერბურგის ქალაქის საბჭოში შეიკრიბენ პეტერბურგის გუბერნიის ფაბრიკა-ზავოდების მუშათა რწმუნებულები რიცხვით 65 კაცი 6 ვიბორშჩიკის ასარჩევათ და მათ შორის ერთი სადეპუტატო კანდიდატის დასასახელებლათ. კრებამ მიიღო ნაკაზი, რომელიც უნდა მიეცეს დეპუტატს დუმაში მუშათა ინტერესების დასაცველათ. რადგან რწმუნებულთა შორის ჭარბობდენ ბოლშევიკები, ამის გამო ნაკაზიც ბოლშევიკური გავიდა. ამ ნაკაზში ნათქვამია, რომ ახალმა დეპუტატმა არ უნდა გადაუხვიოს იმ პროგრამას, რომელსაც ადგენ მისი წინამოადგილენი დუმაში, და უნდა ახსოვდეს, რომ სახელმწიფო დუმა მუშათათვის არის არა კანონმდებელი დაწესებულება, არამედ საგიტაციო ტრიბუნა, საიდანაც მას უნდა გაუყვადეს ს.-დ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის დირექტივები, უნდა ერიდებოდეს ყოველგვარ ხელშეკრულებას ბურჟუაზიულ პარტიებთან, ამჟღავნებდეს ბურჟუაზიულ ილიუზიებს და ყველაზე უფრო კი ამხილდეს ცრუ-დემოკრატიულ ელფერს კადეტთა პარტიისას. ყველა არჩეული 6 ვიბორშჩიკი, გაზეთების გადმოცემით, ბოლშევიკები არიან.

— 29 სექტ. პეტერბურგში მოხდა წინასწარი საარჩევნო კრება, რომელსაც დაესწრო ათასზე მეტი კაცი. კრება გაიხსნა მილიუკოვის „რეჩით“. ახლაო,—თქვა ორატორმა,—პარტიის პროგრამაზე ლაპარაკის დრო არ არის, მას ყველა იცნობს, საჭიროა ტაქტიკაზე ვილაპარაკოთო; მესამე დუმაში კადეტები იმავე გზას დაადგებიან, რომელსაც პირველ და მეორე დუმაში ადგენო. როცა მეორე დუმის პარტიებს შეეხო, მილიუკოვმა იგივე გაიმეორა, რაც პირველ კრებაზე თქვა. მთელ ქვეყანაზე არ ყოფილა ისეთი პარლამენტი, რომელსაც ჩვენი პარლამენტის ოდენი სოციალისტები ყოლოდესო; მემარცხენეთ არა სწამთ საპარლამენტო მოქმედება, ისინი იქ მხოლოდ საკრიტიკოთ მიდიან, კრიტიკისათვის კი სულ რამდენიმე ათი კაციც საკმარისიო. ასეთ პირობებში ერთათ მუშაობა გაძნელებული იყოო და სხ. მილიუკოვის საპასუხოთ ილაპარაკა ვოდოვოზოვმა. მან ცოცხლათ და მკაფიოთ დახატა რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა. მანთქვა: ორჯერ მოიწოდეს ამომრჩევლები, რომ მათ თავიანთი არჩევით ეჩვენებიათ, თუ როგორი წესები სურთ. არაფერი გამოვიდა, წინანდებურათ ხვრეტენ და ახრჩობენ, ვაჭრობა ეცემა, ხალხი ღარიბდება, ანარქია იზრდება, ერთი სიტყვით, ცხოვრება სულ უფრო უარესი ხდება. მეორე დუმამ ვერაფერი გააკეთა, ახლა მესამე დუმის არჩევნებია. ვინ უნდა ავირჩიოთ? ამისათვის საჭიროა გავარკვიოთ დუმის როლი და მიზანი. თავიანთ ფურცელში ამომრჩეველთა მიმართ კადეტები ამბობენ, არჩევნების შედეგზე ხალხის ბედია დამოკიდებულიო. თუ მოვახერხეთ დუმაში დიდი ოპოზიციონური ძალის გაყვანა, ბიუროკრატია ვერ შესძლებს ქვეყნის მოთხოვნების განხორციელებაზე უარი თქვასო. ეს იმას გვიჩვენებს, რომ კადეტებმა არ იციან ის იარაღი, რომლითაც უნდა ვიბრძოლოთ ქვეყნის მოთხოვნათა განსახორციელებლათ. დუმა ვერაფერს გააკეთებს, მაგრამ თუ ის ვერას გააკეთებს დადებითი მუშაობის მხრივ, სამაგიეროთ მას შეუძლია დიდი უარყოფითი როლი შეასრულოს. თუ ის შესდგა ზუბრებისაგან, მაშინ ის ბიუროკრატიას კანონიერების სახეს დასდებს და გავლენას იქონიებს დასავლეთ ევროპაზე. თუნდ ათიოდე მემარცხენე დეპუტატს ყოფნას დუმაში შეუძლია არარაობამდე ჩამოიყვანოს დუმის უარყოფითი როლი. ისინი იტყვიან: ჩვენ სულ ათი კაცი ვართ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ჩვენ არჩეული ვართ ათი მილიონის მიერ; თქვენს უკან კი დგანან მხოლოდ ზუბრლებიო. ათიოდე მემარცხენე იქნება ხალხის ცოცხალი სინიდისი, რომლის ხმა უფრო ძლიერათ დაიქექებს, ვინემ ზუბრების ღრიანცელიო. ვოდოვოზოვის სიტყვა კრებამ გაცხარებული ტაშისცემით დააჯილდოვა. ბოლოს ისევ მილიუკოვმა ილაპარაკა და განაცხადა: თუ მეორე დუმის ასასრულის დღეს ზოგიერთი კადეტები მინისტრებთან წავიდენ მოსალაპარაკებლათ, ეს, რასაკვირველია, მათ გულუბრყვილობას ამტკიცებს, მაგრამ მათ ამ შემთხვევაში მხოლოდ სამშობლოს ინტერესები ამოქმედებდა და მათზე რაიმე ეჭვის შეტანა კეთილსინდისიერებას არ შეეფერებაო. „სერიოზულ დროს სერიოზული კაცები აირჩიეთო“,—ასე დააბოლოვა მილიუკოვმა.

— მუშათა კურიაში ვიბორშჩიკებათ თითქმის ყველგან სულ სოც.-დემოკრატები გადიან, მაგალ., კიევში 5-ვე ვიბორშჩ. ს. დ.-ია, ნიჟნი-ნოვგოროდში, ტულაში და ეკატერინოდარში არჩეულ იქნენ ორ-ორი ვიბორშჩიკი, ყველანი სოც.-დემ.

— სოც.-დემოკრატებმა პეტერბურგში გადაჭრით უარყვეს ყოველგვარი ბლოკი. მემარცხენეთა შორის არჩევნების პირველ საფეხურებზე. საკითხი მემარცხენეთა ბლოკის შესახებ ხელმეორე არჩევნების დროს გადაწყვეტილ იქნება დამოუკიდებლივ პეტ. კომიტეტის მიერ, საერთო კონფერენციის დადგენილების თანახმათ.

— პეტერბურგში მოხდა მესამე წინასწარი საარჩევნო კრება. მოხსენება წაიკითხა მილიუკოვმა, რომელმაც სხვათა შორის თქვა: მუშათა კლასის ერთ ნაწილს ორი დუმის გარეკის შემდეგ იმედები გაუცრუვდა საპარლამენტო მოქმედებაზე და აკეთებს თავის საქმეს დუმის გარეშე. მაგრამ ის პარტიები კი, რომლებიც დუმაში მიდიან, ვერ დაისახავენ სხვა მიზანს, თუ არ წმინდა საკანონმდებლო მოქმედებას, რადგან დუმა არსებობს კანონმდებლობისათვის,—მაშასადამე, დუმაში უნდა გაგზავნილ იქნან ისეთი კაცები, რომლებიც კანონმდებლობას მიჰყოფენ ხელსო. შემდეგ ილაპარაკა კადეტმა კოლიუბიაკინმა. მან, სხვათა შორის, თქვა: კადეტებიც დუმას ცნობენ ხალხის შეკავშირების საშუალებათ, მაგრამ დუმას შეუძლია ასეთ საშუალებით გახდეს იმდენათ აგიტაციონური რეჩების წარმოთქმით კი არა, როგორც მემარცხენეთ გონიათ, არამედ ადგილობრივ დაწესებულებათ რეფორმითაო. დუმაში საქმის კაცებია საჭირო. თუ ამომრჩევლები გრძნობენ, რომ მათ ძალა შესწევთ მემარცხენეთათვის ისე აქტიურათ მხრის დაჭერათ, როგორც ამას მემარცხენენი მოითხოვენ მათგან, მაშინ ორატორი იწვევს ამრჩეველთ ხმა მისცენ მემარცხენეებს. ხოლო თუ არჩევნებს ასეთი ძალა არ შესწევთ, მაშინ ნუ შეუვათ შეცდომაში მემარცხენენი და ნუ დაპირდებიან მათი მოქმედებისათვის მხარის დაჭერას; მაშინ მათ კადეტები უნდა გაგზავნონ დუმაშიო. ორივე ორატორს პასუხი გასცა ვოდოვოზოვმა, რომელმაც თქვა: თუმცა დუმას კანონმდებლობის სახელი ქვია, მაგრამ ნამდვილათ კი ის ასეთი არ არისო. სამაგიეროთ ორატორი ცნობს დუმას ხალხის შეკავშირების საშუალებათ. ზოგიერთ მემარცხენეთა შეცდომა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მათ ჰგონიათ ხალხი ჩვენს მხარეზეაო, არამედ იმაში, რომ ისინი აზვიადებენ ხალხის რევოლიუციონურ ენერგიას. თუ ამომრჩევლები ძალას ვერ გრძნობენ მხარი დაუჭირონ დეპუტატებს და განზრახვა აქვთ ბიულეტენების მიცემა იკმარონ, მაშინ ისინი „საჭირო არ არიან მემარცხენეთათვის“ (გაცხარებული ტაშის-ცემა). კადეტები უკიჟინებენ მემარცხენეთ სიდინჯის (სერიოზობის) უქონლობას და მომენტის დაფასების უუნარობას, მაგრამ განა კადეტები არ ბრძანდებოდენ, პირველ დუმის წინ რომ ხალხს პირდებოდენ—დუმის შემწეობით რუსეთს მის შემბოჭველ ბორკილებისაგან განვათავისუფლებთო? კადეტები არ ბრძანდებოდენ, რომ პირველ დუმის გარეკის შემდეგ ვიბორგის მოწოდება გამოუშვეს და გადაისროლეს ხალხში პასიური წინააღმდეგობის ლოზუნგი მხოლოდ იმისთვის, რომ რამდენიმე თვის შემდეგ ჰელსინგფორსის სიზდზე უარეყოთ ვიბორგის მოწოდება? სადაა ის სერიოზობა, რომლითაც კადეტები ასე ყოყოჩობენ და რომლის უქონლობას მემარცხენეთ უკიჟინებენ? სწორეთ კადეტებმა ვერ დააფასეს მომენტი, მათი ტაქტიკა ფანტასტიური გამოდგა. კადეტების ლიდერები გულმოდგინეთ საუბრობდენ მთავრობის წარმომადგენლებთან, მაგრამ მათი ასეთი მუსაიფის შესახებ ამომრჩევლებმა არაფერი იციან. როგორც მოქალაქე და ამომრჩეველი ვოდოვოზოვი მოითხოვს კადეტებისაგან ანგარიშს მათი მთავრობასთან მოლაპარაკების შესახებ, მაგრამ ამრჩევლები ასეთ ანგარიშს ვერ მოისწრებიანო. მემარცხენენი ამომრჩევლებს არაფერს არ პირდებიან იმის გარდა, რომ ისინი დუმაშიაც მედგარ ბრძოლას გასწევენ ხალხის ინტერესებისათვის და თავიანთ ყოველ ნაბიჯს არ განიხილავენ იმ თვალსაზრისით, თუ როგორ შეხედავენ მას სფერებში. ასეთმა ტაქტიკამ, შეიძლება, გამოიწვიოს დუმის გარეკა, მაგრამ განა მართლა და დუმა დუმისათვისაა საჭირო? ორატორი დაჯილდოვებულ იქნა ხანგრძლივი ცხარე ტაშის ცემით, რომელიც ნამდვილ ოვაციათ გადაიქცა, როცა ის ტრიბუნიდან თავის ადგილზე ბრუნდებოდა, ტრიბუნაზე ავიდა ისევ მილიუკოვი. მან სიამოვნება განაცხადა გრძნობათა იმ აზვირთების გამო, რომელიც ვოდვოზოვის „რეჩმა“ გამოიწვია მაგრამ დასძინა, ასეთ „აზვირთებას“ ადგილი აქვს მხოლოდ აქ, საარჩევნო კრე-

## ბნელი ძალები

საქართველოს ბნელ ძალებმა, ეს ერთი ხანია თავჩაქინდრულმა და ხალხის მრისხანებით მიჯაჭულმა, უცებ აიწყვიტა და სათამაშოთ გამოინავარდა. ფეოდალი, კლერიკალი, ფედერალისტი, დემოკრატი, რეაქციონერი, ნაციონალისტი და სხვა და სხვა „მხსნელნი“ საქართველოსი კიდევ ერთხელ შეერთდენ და „ისარის“ რედაქციის წინამძღოლობით იერიშით მივიდენ სოციალდემოკრატიაზე. მართალია, ეს მათი შემოსევა არ ახალია, ძველია. ის არა ერთხელ განგვიცდია და ღირსეულათ გაგვისტუმრებია, მარა მათმა უკანასკნელმა გაბედულებამ და უტიფრობამ გადააჭარბა ყოველივე მოლოდინს და კალამი ხელთ აგვაღებია. ამ ვაჟბატონებმა თავისი პარტიული და კლასიური ანგარიშის გასასწორებლათ არ დაინდეს განსვენებული ილია ჭავჭავაძის ცხედარი და მის გარშემო გამართეს საზიზღარი განგაში.

თავის თავათ ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ილიას ასეთი ტრაღიკული ბოლო ყველა კლასის და პარტიისათვის სამწუხარო და აღსაშფოთებელი იქნებოდა. აქ ორი აზრი ყოვლად შეუძლებელია. და არა თუ ტრაღიკული სიკვდილი, არამედ ჩვეულებრივი სიკვდილიც შემოკრებს ხოლმე მგოსნის კუბოსთან სხვა და სხვა მოწინააღმდეგე პარტიას და კლასს. განა ვიქტორ ჰუგოს ცხედარს არ მისდევდა მილიონი ხალხი, განურჩევლათ კლასისა და მიმართულებისა? განა დოსტოევსკის საფლავზე არ შეიკრიბენ, როგორც მებრძოლი ინტელიგენცია, ისე რეაქციონერები და ლიბერალები? მართალია დოსტოევსკი კონსერვატორი პუბლიცისტი იყო, მარა ის გახდა დიდი მწერალი არა პუბლიცისტობით, არამედ მოთხრობებით. ვისღა ახსოვს დღეს მისი სტატიები? სამაგიეროთ მისი მხატვრული ნაწარმოები უკვდავია. ან და დღეს ტოლსტოის ადიდებენ „ტოლსტოველობისათვის“? ამათი რიცხვი შედარებით მისი ბელეტრისტიკას თაყვანისმცემლებთან ძლიერ მცირეა. ამიტომ ვის გაუკვირდება, როცა მის ცხედარს უკან გაჰყვება ყველა პარტიის და მდგომარეობის ხალხი და მას ერთხმათ ეტყვიან: საუკუნო იყოს ხსენება შენი!

ასეთია საზოგადოთ პოეტთა ხვედრი და ასეთი უნდა ყოფილიყო ხვედრი განსვენებული ილიასი. მისი დაკარგვა უნდა ეგლოვა როგორც მისი პოეზიის თაყვანისმცემელთ, ისე მისი პუბლიცისტური და საზოგადო მოღვაწეობის მადიდებელთ, მის განსვენებას უნდა დასწრებოდა როგორც მუშა და გლეხი, ისე თავადი, ბურჟუა და ინტელიგენცია და თითოეულს პატივი ეცა მასში იმ ნიჭისათვის, რასაც მასში აფასებდენ.

ეს დიდებული გლოვაა. ეს იშვიათი სანახაობაა, მარა ჩვენმა ფედერალისტებმა და მ თმა ამყოლ-დამყოლებმა ეს ერთიანათ შერყვნეს, ფეხ-ქვეშ გათელეს, ილიას ცხედარი თავის საპოლემიკო იარაღათ გაიხადეს! ამათ სოც.-დემოკრატიასთან საბრძოლველათ თავისი საკუთარი ფარხმალი კაი ხანია არ გააჩნიათ, და აი, ახლა ისარგებლეს შემთხვევით, ისარგებლეს საზიზღარი მკვლელობით, ამოეფარენ მკვდარს და იწყეს ქურდულათ, მიკიბ-მოკიბულათ, ჩვენსკენ ტალახის სროლა. და ასე, ილიას საფლავი აქციეს პარტიული ბრძოლის მოედნათ, ბნელი ძალების შემომკრებ ცენტრათ.

რით დაასაბუთეს ფედერალისტებმა ეს თავისი ასეთი ზნეობრივი დაცემა? რა ბრალდება წამოაყენეს სოც.-დემოკრატიის წინააღმდეგ?

აი რას სწერს „ისარი“: „სავალალო და საშინელი ის არის, რომ ჩვენმა ცხოვრებამ შეჰქმნა ატმოსფერა, სადაც ასეთ ბოროტებას ადგილი აქვს და მარჯვე ნიადაგი აქვს მომზადებული. განა ჩვენში არ გაჩნდა მიმართულება, რომელსაც არ სწამს და ეზიზღება მთელი ჩვენი წარსული? განა ამ მიმართულების უმიცმა ადეპტებმა არ იმუშავეს დაულალავათ, რათა მიწასთან გაესწორებიათ ჩვენი მგოსანნიც, მწერალნიც, მოღვაწენიც“ და სხ. და სხ. (№ 192).

როგორც ხედავთ, მთელი ეს ბრალდება ეხება ქართველ სოციალდემოკრატიას. ვთქვათ, ყველა ეს მართალია, ვთქვათ, სოც.-დემოკრატიის მიერ მომზადებულ ნიადაგმა დაბადა ეს მკვლელობა, მერე ამისთვის დასაგმობია თვით ნიადაგი? ამ ნიადაგმა დაბადა ის დიდებული მოძრაობა, ის გონებრივი და პოლიტიკური გადასხვაფერება, რომელიც ქართველ ხალხმა განიცადა და დღე მუდამ განიცდის. ამ ნიადაგზე აღმოცენდა კავკასიის რევოლიუცია, მთელი ახალი ისტორია, და თქვენ გსურთ ყველა ეს უკუ აგდოთ, დაგმოთ იმიტომ, რომ სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც ცვივა. დიდმა რევოლიუციამ სიკვდილით დასაჯა დიდებული ქიმიკი ლავუაზიე, მარა ამიტომ თვით რევოლიუცია არავის დაუგმია, გარდა რეაქციონერებისა. ფედერალისტების საბუთი არის საბუთი რუსეთის შავრაზმელებისა. აიღეთ „რუსკოე ზნამია“ და იქ პირველ გვერდზე ნახავთ ასეთ განცხადებას: კადეტთა პარტიის ნაწარმოებნი... და მერე ჩამოთვლილია ვინ სად მოკლეს ან დასჭრეს; გამოდის რომ კადეტებმა მოამზადეს ყველა ამ მოვლენის ნიადაგი, ეს მათი ნამოღვაწევია. ამასვე სწერენ ყოველ დღე „როსსია“, „ნოვოე მრემია“ და ბნელეთის სხვა ორგანოები. და ამასვე იმეორებს „ისარი“.

ამნაირათ, საქართველოს და რუსეთის ბნელი ძალების ლოღიკა ერთნაირია, ფედერალისტები პირწმინდათ იმეორებენ „ჭეშმარიტ რუსებს“.

ტერორის მთავარი მიზეზი რევოლიუციონერებია, დაჰკარით მაგათ—გაიძახიან ხმა-შეწყობილათ ჭეშმარიტი რუსქართველები.

სოციალდემოკრატია, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში, ამ შავრაზმულ აზრებს ებრძვის და მთელ ბრალდებას რეაქციას აძებს. და მართლაც, „პარტიზანული გამოსვლა“, ტერორი, პირადი „აჯანყება“ ხდება მაშინ, როცა მასსის გამოსვლა იშვიათია, რევოლიუცია სუსტია, რეაქცია გამძვინვარებულია და ხალხს სულს უხუთავს. ოქტომბერ-ნოემბერში, 1905 წ. როცა რევოლიუციამ გაიმარჯვა, ტერორი ერთიანათ გაქრა, საქართველოში მაშინ არა თუ კვლა, ქურდობაც კი მოისპო. აი რას ნიშნავს სოციალდემოკრატების ბატონობა. ხოლო შემდეგ, როცა რევოლიუცია დაძაბუნდა და მტარვალობა გამეფდა—გახშირდა კვლა, ძარცვა, ყაჩაღობა. და აი, სწორეთ ამ ხანაში მოკლეს ილიაც.

ცხადია, ილიას, როგორც მაგ. გერცენშტეინის, მოკვლას ნიადაგი მოუმზადა არა რევოლიუციამ, არა სოციალდემოკრატიამ არამედ რეაქციამ. რუსეთის კადეტებიც კი ყველა ასეთ მოვლენის მთავარ მიზეზათ რეაქციას აღიარებენ, რის გამოც ყოველთვის უარს ამბობდენ ტერორის დაგმობაზე (დუმაში), ხოლო ჩვენი „სოციალისტ-ფედერალისტები“ კი რეაქციონერთა საშუალებას ვერ გაშორებიან. ვაი სირცხვილო!

ფედერალისტთა „დამსახურების სია“ ამით არ თავდება, ისინი ისე გაიტაცა „ჭეშმარიტ ქართველობამ“, რომ სრულიად აღარ ერიდებიან „ჭეშმარიტ რუსთა“ ბანაკიდან ახალ-ახალ საბუთების სესხებას. ეს საბუთი გახლავთ შემდეგი; სოც.-დემოკრატიას „არ სწამს და ეზიზღება მთელი ჩვენი წარსული“, გვისაყვედურებს „ისარი“. წარსულის „სიყვარული“, იმ წარსულის, სადაც მტარვალობა და ბარბაროსობა იყო გამეფებული, რეაქციონერთა ხელობაა. დღეს მთელი ახალი რუსეთი ებრძვის ძველ რუსეთს, ე. ი. „არ სწამს“ საუკუნოებით შემუშავებული და გადმოცემული წარსული, ხოლო რეაქცია კი ამ წარსულს ჩაფრენია და მას ხალხს ძალათ „აყვარებს“. ან შეიძლება ჩვენი წარსული სასიყვარულოა? დაამტკიცეთ ჯერ ეს და მერე გვისაყვედურეთ. ხოლო მანამდის კი ჩვენ ვივლით იმ ერთათ ერთი გზით, რომლითაც წარმოებს ყველა ერის განახლება: ძველის შეძულება თავდებია მოძრაობის დაწყების და ახალი ცხოვრების შექმნის. რევოლიუცია, ეს ძველის დანგრევაა. და სანამ ხალხი ძველს არ უარსყოფს, მანამდის ის რევოლიუციას ვერ მოახდენს. „სიყვარული“ და „ზიზღი“ დიდებული გრძნობაა, ეს ბრძოლის და თავის დადების მიუცილებელი ღერძია. და თუ ს.-დემოკრატია ამას ნერგავდა ხალხში—დიახაც დიდი რევოლიუ-

ბაზე, ცხარე „რეჩის" მეოხებით, ქვეყანაში კი ჩვენ მას ვერა ვხედავთო. შემდეგ მილიუკოვი გამოტყდა—კადეტები წინათ მართლა აზვიადებდენ დუმის ძალასო. ვიბორგის მოწოდების შესახებ მილიუკოვმა განაცხადა: ჰელსინგფორსის სიეზდს რომ ვიბორგის მოწოდება არ გაეუქმებია, გლეხები უფრო მეტს იწვნევდენ, ვიდრე იწვნიესო.

# პროვინცია

**ფოთი.** ორი თვე შესრულდა, რაც ფოთის ციხეში დატუსაღებული არიან: ვასილ ქადეიშვილი, სარდიონ ბოკერია, სევე ლომთათიძე, თეოფილე შენგელია, დიმიტრი მამალაძე და იონა კიზირია. ამათ აბრალებენ პოლიტიკურ დანაშაულობას, წამოყენებული აქვთ ბრალდება სისხლის სამართლის დებულების 102 მუხ. ძალით და როგორც ოქმი ამბობს თითქო ისინი დატუსაღებიათ რუს. სოც. დემოკრატიული მუშ. პარტიის ერთ-ერთი ადგილობრივი ორგანიზაციის საიდუმლო კრებაზე.

ჯერ საქმე სავსებით გამოძიებული არ არის და არც თავდებში განთავისუფლების ნებას აძლევენ.

აქვე ამ დღეებში დააპატიმრეს რუსული გაზეთების კორესპონდენტი სოფოკლი ხოშტარია. აბრალებენ სახელმწიფო დანაშაულობას და ითვლება ქუთ. დრ. გენერალ-გუბერნატორზე. №. №.

—

**ს. ყანდაური.** (კახეთი) როგორც გადმოგვცეს, სექტემბრის ბოლო რიცხვებში, შეძლებულ გლეხს მიხა სესიკელაშვილს, შუადღისას მისცვივნიან თხუთმეტამდე შეიარაღებული ცხენოსანი კაცები და მოუთხოვნიათ ფული. სესიკელაშვილს უარი განუცხადებია, რისთვისაც იქვე მოუკლავთ. [illegible] ვაჟიშვილისთვის უსვრიათ და ისიც დაჭრილი მეორე დღეს მომკვდარა. ცოლი ხანჯლით დაუჭრიათ, და როგორც ორსულს, მუცელი წახდომია. ამბობენ: ყაჩაღებს ფულიც წაუღიათო. **გოგია**

—

**ს. თოხლაური.** (გარეთ კახეთი) 26 ენკენისთვეს სოსო ღვინიაშვილმა მინდორში დაკარგა ზაქი, ამით უსარგებლნია, მეძროხე მიხა და ილია ყიასაშვილებს მოჯამაგირებით განო დეკიაშვილის და კოლა ნინოწმინდელით და დაუკლავთ ზაქი, ეგრეთ წოდებულ „უძიროებში". გლეხებმა გაიგეს ყიასაშვილების ასეთი საქციელი. კვირას გაგზავნეს ოთხი ამორჩეული კაცი, რომლებსაც მოჯამაგირე განომ უველაფერი დაწვრილებით უამბო. ყიასაშვილებს კი პირველათ უარი განეცხადებინათ, მაგრამ როდესაც ამორჩეულ კაცებს სახრით კარგათ დაეწნენლათ, მაშინ კი ეკადრნათ გამოტეხილიყვენ: ტყავი და ხორცი ეჩვენებინათ. ამორჩეულმა კაცებმა ტყავ და ხორცი წამოკიდებული ყიასაშვილები სოფელში მოიყვანეს. თავმოურილმა გლეხკაცობამ ყიასაშვილებს გადაუწყვიტა ოთხი ძროხა. ერთი სოსო ღვინიაშვილს მისცეს, მხოლოდ სამი ძროხა დაკლეს და ხორცი გლეხებმა დაინაწილეს. გოგია.

—

**ს. ბერეჟოული** (გურია). 5 ოქტომბერს ყაჩაღები დახვდენ ოზურგეთიდან ჩოხატაურში ეტლით მიმავალ სტრაჟნიკებს და აუტეხეს სროლა, ორი მათგანი მოკლეს, და სასიკვდილოთ დასჭრეს ურიადნიკი ქუცურბეგი (სტრაჟნიკები ყველა ინგუშებია). ამ სროლის დროს დაიჭრა მეეტლე სირმა ჩხაიძე. მოვიდა ადგილობრივი მამასახლისი და მოკლულებს ყარაულები დააყენა; ამბავი ჩოხატაურის ბოქაულს აცნობა, ჩოხატაურიდან მოვიდენ სტრაჟნიკები და ინგუშები. მოკლეს მამასახლისის მიერ დაყენებული ყარაული დეკან დოლიძე, ასტეხეს სროლა, ყოველ მხარეს ისროდენ თოფებს. შედეგი ამ სროლის დაწვრილებით არ ვიცით. მოელიან ჯარს. ამ მკვლელობის მიზეზებს სხვა და სხვას ასახელებენ.

## თფილისის მოსამსახურეთა კავშირის პირველი კონფერენცია

(გაგრძელება. იხ. „ჩვ. გზა" № 27)

საბჭო იმუშავებს საორგანიზაციო წესდების პროექტს, რომელსაც ამტკიცებენ ძირითადი ორგანიზაციები. ამ წესდების მიხედვით ხელახლათ ეწყობა ძირითადი ორგანიზაციები, კავშირი იყოფა რაიონებათ, რომელნიც ირჩევენ საბჭოს. ამ დროს არსდება მეარდნეთა კავშირი. საბჭო ადგენს მათ წესდებას. საბჭოს ხელმძღვანელობით შეშის საწყობების მუშები აარსებენ კავშირს. საბჭო ადგენს რესტორან-ბუფეტების და სასტუმროების მოსამსახურეების მოთხოვნებს. ამ დროს სახელმწიფო სათათბიროს ითხოვენ, რეაქცია მატულობს, მოთხოვნების წარდგენა და გაფიცვის გამოცხადება შეუძლებელი ხდება. საბჭო მხოლოდ მოთხოვნების ფურცლებს უშვებს, რომელშიაც მოუწოდებს ამხანაგებს კიდევ უფრო გააძლიერონ კავშირი და ემზადონ მომავალ გაფიცვისათვის.

საბჭო ხელმძღვანელობს უმუშევრათ დარჩენილ მოსამსახურეებს, იკვლევს ხაზეინებს და მუშებ შორის მომხდარ უთანხმოებებს, ტეხნიკისათვის ქირაობს კაცს, აგროვებს საწევრო ფულს, იძენს 3000 მანეთამდე დირებულ ქონებას, ეწევა მოსამსახურეებში პროპაგანდა-აგიტაციას, უშვებს ფურცლებს, სცემს პროშიურას, ურჩ ხაზეინებს უცხადებს ბოიკოტს, რაც ყველა გამარჯვებით თავდება, იწვევს ლექტორს, რომელიც აწყობს წრეებს, იმუშავებს ოჯახებში მოსამსახურეთა მოთხოვნებს, განსაკუთრებით ამისათვის უშვებს ფურცლებს, რომელშიაც მოუწოდებს მათ ემზადონ მომავალ გაფიცვისათვის, ქუთაისში მოსამსახურეთა კავშირის მოსაწყობათ გზავნის კაცს, იწვევს ამიერ-კავკასიის რკინის გზის ბუფეტების მოსამსახურეთა სიეზდს და უწევს მათ ხელმძღვანელობას, ცდილობს კავშირის ლეგალიზაციისათვის, რისთვისაც იღებს ნებართვას და იწვევს საერთო კრებას, რომელიც ირჩევს კაცებს და ავალებს მათ იმასტადინონ კავშირის ნებართვისათვის, ენერგიულ მონაწილეობას დებულობს კავშირების ცენტრალურ საბჭოს შედგენაში, ცენტრალურ საბჭოს იდეიურ ხელმძღვანელობით თავის ხარჯით უშვებს პროფესიონალურ ორგანოს, რომელიც მათე ნომერზე მთავრობის-მიერ იხურება, დახმარებას აძლევს დაჭრილ ამხანაგებს, ცხოვრების-მიერ წამოყენებულ ყველა კითხვებს შესაფერ პასუხს აძლევს. ერთდროული გადასახადის შემდეგ იკრიბება მხოლოდ სექტემბრის და ნაწილი ოქტომბრის საწევრო ფული ბევრ საქმეების და საწევრო ფულის შემოუტანლობისა გამო საბჭო თავის დროზე ანგარიშებს ვერ უშვებს, რაც შეუგნებელ ამხანაგებში უკმაყოფილებას იწვევს. ზოგიერთ კავშირის წევრების წყალობით საწევრო ფულის მოგროვება ძნელდება. გაზეთის და სხვა მიმდინარე ხარჯების გამო საბჭო სესხს დებულობს. 1907 წ. იანვრის თვეში კავშირი ნებართვას დებულობს, საბჭო მართავს საზოგადო კრებას, რომელიც ირჩევს კავშირის გამგეობას და სარევიზიო კომისიას. პირველი თებერვლიდან კავშირი ლეგალურათ მოქმედებას იწყებს. გამგეობა მოქმედობს საბჭოსთან ერთათ. კავშირი მართავს კანტორას, იწვევს საჭირო კაცებს, აარსებს უმუშევართათვის ბიუროს, მომრიგებელ კამერას, აგროვებს საწევრო ფულს, ხელმძღვანელობს მესამე და მეხუთე რაიონის გაფიცვას, რომელიც მუშების გამარჯვებით თავდება. იწვევს მზარეულების კონფერენციას. ერთი თვის მოქმედების შემდეგ კავშირის კანტორა მთავრობის განკარგულებით იხურება, გამგეობის წევრებს იჭერენ, რომლის შემდეგ საბჭო იწყებს მოქმედებას, მეცადინეობს დაჭერილ გამგეობის წევრების გამოშვების შესახებ. მთავრობა გამგეობის წევრებს ანთავისუფლებს. საბჭო კავშირის სრულ ანგარიშებს ადგენს, რასაც რაიონებიდან ამორჩეული საკანტროლო კომისია ამტკიცებს. ამნაირათ დამტკიცებულ ანგარიშებს საბჭო უშვებს და კავშირის წევრებს აცნობს. კავშირის წევრთა უმრავლესობა ანგარიშებს დებულობს და საბჭოს მოქმედებას იწონებს. საბჭო იწყებს კავშირის რეორგანიზაციას, ახდენს კანტორის ლიკვიდაციას, რომლის დროს საბჭოს და გამგეობის წევრთა უმრავლესობას მთავრობა კრებაზე იჭერს და რუსეთში ასახლებს. ამის შემეგ დგება ახალი საბჭო. კავშირის მეხუთე რაიონი გაფიცვას აცხადებს, რომელიც ერთ თვეზე მეტს გრძელდება. საბჭო გაფიცვას ხელმძღვანელობს, რაც მუშების სრული გამარჯვებით თავდება. საბჭო ამხანაგებში 140 მანეთამდე ფულს აგროვებს და გადასახლებულებს ამგზავრებს. შემდეგ, თუ არა, ახალი საბჭო, განხნდენ დეზორგანიზატორები, რომელნიც ძველ საბჭოზე ანგარიშების შესახებ ყალბ ხმებსავრცელებენ, ხელახლათ ანგარიშების გამოცემას თხოულობენ, მოსამსახურეთა კავშირი ფიქციაა, გაიძახოდენ. ბოლოს დეზორგანიზატორებმა კრებაც გამართეს და კონკრესათ მონათლეს. დეზორგანიზატორების ასეთი მოღვაწეობა საბჭოს მოქმედებას ხელს უშლის გადასახლებული ამხანაგები დახმარებას იწერებიან, მევალეები ანგარიშების გასწორებას თხოულობენ, ხაზეინები არსებულ სამუშაო პირობების შეცვლისათვის ემზადებიან, საჭიროთა საწევრო ფულის მოგროვება, კავშირის გამაგრება და ამ დროს დეზორგანიზატორები კავშირს ფიქციათ აცხადებენ, ძველი საბჭოს მიერ აღებულ ვალების გადახდაზე უარს ამბობენ, კავშირს არა ნორმალურ მდგომარეობაში აყენებენ. რომ ასეთ მდგომარეობას ბოლო მოღებოდა, საბჭო სწყვეტს კავშირის კონფერენციის მოწვევას, იმუშავებს კონფერენციის დღიურ წესრიგს და ირჩევს კონფერენციის მომწვევ კომისიას. ახალი საბჭო საწევრო ფულის მოსაგროვებელ ჩეკებს უშვებს, ფულს კრებს, მარა კონფერენციის შეკრებამდე რაიონებში აწყობს.

აი, მოკლეთ, თუ რა გააკეთა თფილისის მოსამსახურეთა კავშირმა დღიდან დაარსებისა. აქ არაფერი გვითქვამს ჩვენ კავშირის ანგარიშების მდგომარეობის შესახებ, რაზედაც საბჭო მიმართავს კონფერენციას ამოირჩიოს ამისათვის ცალკე კომისია, რომელიც დაწვრილებით გამოიკვლევს ანგარიშებს და შემდეგ კრებას მოახსენებს".

კონფერენციამ მოისმინა რა მოხსენება, მოიწონა საბჭოს მოღვაწეობა, დაჰგმო დეზორგანიზატორების მოქმედება, ანგარიშების შესახებ საბჭოს წინადადება მიიღო და კომისია ამოირჩია.

აპალონ ჩამწარდაძე.

(გაგრძელება იქნება).

## პარტიების ცხოვრებიდან

**რ. ს. დ. პარტიის** პეტერბურგის საოლქო რაიონის კრებამ განიხილა კითხვა ს.-დ. ფრაქციის მომავალ პროცესისადმი დამოკიდებულების შესახებ. კომიტეტმა გამოიტანა პროტესტის რეზოლიუცია, რომელიც გადაეცემა განსახილველათ და მისაღებათ მუშათა ფართო კრებებზე. უმუშევართა შესახებ გადაწყდა არჩეულ იქნან დელეგატები უმუშევართა იმ დეპუტაციაში მონაწილეობის მისადებათ, რომელიც ქალაქის საბჭოში გაიგზავნება.

**ს. დ. პარტიის კანდიდატებათ** პეტერბურგის ქალაქის მეორე [illegible] გაზეთები გადმოგვცემენ, წამოყენებული არიან: ი. ტუდოროვიჩი (ლიტერატორი), ნ. სოკოლოვი (ნაფ. ვექ.) და პოლეტაევი (ნოქარი).

**მენშევიკების ნაკაზში,** რომელიც პეტერბურგის გუბერნიის მუშათ რწმუნებულებს წარედგინათ, ნათქვამია. „ჩვენ მივანდობთ ჩვენს დეპუტატს გამოიყენოს სახ. დუმის ყველა კანონიერი უფლება ჩვენი ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნების ყოველმხრივ დასაცველათ. ჩვენ მივანდობთ ჩვენს დეპუტატს გამოამჟღავნოს ბიუროკრატიის და რეაქციის შეურიგებელი მტრობა ხალხის ფართო მასსის ინტერესების მიმართ და სავსებით წამოაყენოს მუშათა მოთხოვნები. შეებრძოლება რა ჩვენი დეპუტატი ბურჟუაზიულ პარტიების მეცადინეობას შეავიწროვონ ხალხის უფლებანი ან დაჩრდილონ შეურიგებელი მტრობა არსებულ სახელმწიფო წესწყობილებასა და ხალხის ფართო მასსის ინტერესებს შორის, ამავე დროს მან უნდა მხარი დაუჭიროს ოპოზიციონურ პარტიების იმ ნაბიჯებს, რომელიც მიმართული იქნება ბატონ-ყმობასთან და ბიუროკრატიასთან ბრძოლისაკენ, და რომელიც ამნაირათ ქმნის ბრძოლის უკეთეს პირობებს ხალხის მასსისათვის.

**რასკოლი კადეტთა პარტიაში.** რადგან ამ ბოლო დროს კადეტთა პარტიის ერთი ნაწილი მილიუკოვის მეთაურობით აშკარათ გადაიხარა მარჯვნივ, ამის გამო ამ ყამათ პარტიაში განხეთქილება ჩნდება და პარტიის უფრო მემარცხენე ნაწილს აშკარათ ემჩნევა მიდრეკილება პარტიიდან გამოყოფისა. სხვათა შორის 1-ლ დუმის ყოფილმა დეპუტატმა კადეტთა პარტიის ცენტ. კომიტეტის წევრმა შჩეპკინმა (ნოვოროს. უნივერსიტეტის პროფეს.) შემდეგი განცხადება გაუგზავნა ცენტრ. კომიტეტს: „რადგან ზნეობრივათ შებოჭილი ვარ პირველ დუმის ანდერძით, არ შემიძლია მომავალში ვიკისრო პასუხისმგებლობა კადეტთა პარტიის ცენტრ. კომიტეტის ტაქტიკურ მოქმედებისათვის და ხელს ვიღებ ცენტ. კომიტეტის წევრობაზეო".

**ბუნდის ცენტ. კომიტეტმა დაადგინა:** სოც.-დემ. ფრაქციის გასამართლების გამო არ მოიწყოს მუშები გაფიცვის გასამართლებს და ამის მაგივრათ გასამართლების პირველ დღეს გამართოს საპროტესტო მიტინგები.

# რუსეთის ამბები

**სოც.-დემ. ფრაქციის საქმე.** სოც.-დემ. ფრაქციის დატუსაღებული წევრები შეეკითხნენ რუს. სოც.-დემ. მ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს—გვაქვს თუ არა უფლება

---

ცოური ცეცხლი გაუჩაღებია. და აი, ამას ებრძვის დღეს „ისარი" ბნელი ძალების სასიხარულოთ.

მეორე მხრით, თუ კი „სიყვარული" და „ზიზღი" ჩინებული საგიტაციო საშუალებაა, სამაგიეროთ ის გამოუსადეგარია ისტორიის კვლევა-ძიებისათვის. ჩვენ ნიგილისტებივით უარს არ ვყოფთ ისტორიას, წარსულს: ჩვენ მარქსისტები ვართ, ხოლო მარქსიზმი წარსულს, აწმყოს და მომავალს უცქერის არა სიყვარულ-ზიზღის თვალით, არამედ როგორც აუცილებელ პროცესს ცხოვრებისას, რომლის თითოეული საფეხური თავის დროზე პროგრესს წარმოადგენდა. ამ დედააზრზე არის აგებული მთელი ქართული მარქსისტული ლიტერატურა. და აი, „ისარი" ყველა ამას ხელს აფარებს და ერთ სტატიაში ნახმარ ორი სიტყვით („სიყვარული" და „ზიზღი") სურს დაახასიათოს მთელი მიმართულება. ასეთია „ჭეშმარიტ-ქართველთა" კეთილ-სინდისიერება!

მარა ერთი ვიკითხოთ, რა შუაშია აქ ილია ჭავჭავაძე, ის ხომ აწმყო იყო და არა წარსული? მაშასადამე, წარსულის უარისყოფა რანაირათ უნდა ყოფილიყო ილიას პირადობის უარის ყოფა? აშკარაა, „ისარს" აქ სახეში აქვს ილიას პოლიტიკური მიმართულება, მას „უყვარდა" წარსული, ჩვენ კი „გვძულდა", ამ ნიადაგზე იმართებოდა ჩვენს შორის კამათი, დავა და აი, ამან მოამზადა ნიადაგი მკვლელობისა! ასეთია „ისარის" „ჭეშმარიტ-ქართველური" საბუთი, ს.-დემოკრატიის წინააღმდეგ წამოყენებული.

როგორც ხედავთ, ეს უარის ყოფაა არა მარტო ს.-დემოკრატიის, არამედ საზოგადოთ პრესის, კამათის, აზრთა შეჯახების, ვინაიდან ყველა ეს თურმე თესს ბოროტმოქმედებას. ასეთ დასკვნამდის „ისარის" ოსტატნი, „ჭეშმარიტი რუსნიც", კი არ მისულან, ეს ფედერალისტთა საკუთარი ჭკუის ნაყოფია და მას, იმედია, არ დაივიწყებს ქართველი ხალხი, და ასე, სოციალდემოკრატიასთან ბრძოლა „ისარმა" გადააქცია თვით პრესასთან ბრძოლათ. ჩვენ თურმე „მიწასთან გავასწორეთ" მგოსანიც, მწერალნიც, მოღვაწენიც და ასე, ხელი შეუწყვეთ მკვლელობას! „ისარის" უტიფრობა საზოგადოთ განუზომელია, ის რაც მეტს ლაპარაკობს—მით უფრო იფლება მის მიერ შემზადებულ ლაფში.

ყველამ იცის, რომ ეს „მიწასთან გასწორება" გამოიხატა ჩვენი პუბლიცისტების კრიტიკაში, მათი ნაციონალიზმის და უგზო-უკვლობის უარის ყოფაში და მით დემოკრატიული მოძრაობისთვის ნიადაგის მომზადება. და აი, მთელ ამ გონებრივ და ლიტერატურულ მოძრაობას საქვეყნოთ გმობენ „ისარის" „სოციალისტები", ეს დემოკრატიის ტყავში გახვეულნი „ჭეშმარიტი ქართველები". ახლა მათ ეს ტყავიც ჩამოიძვრეს და თავისი რეაქციონური სულის კვეთება აშკარათ დაგვანახვეს. მით უკეთესი. „ისარი" არც ამას კმარობს და თავისთავის ასე საარაკოთ გაშოლტვას განაგრძობს. ის სწერს: ყველა ეს მოღვაწენი „ხალხის პირად მტრათ გამოყავდათ და ბრბოს უსისინებდენ—ჰკა მაგათო"! საბუთი? მოყავს ერთად-ერთი და ისიც ეხება მხოლოდ ერთ მოღვაწეს—განსვენებულ ილიას. მაშ, საიდან გამოატყვრინეს ეს დიდი ტყუილი—ყველა მოღვაწენი გამოყავდათ მტრათო? ვინ შეეხო ამ მხრით აკაკის, ნიკოლაძეს, გოგებაშვილს და სხვას?

ახლა გავსინჯოთ „ისარის" ის ერთი საბუთი. ამ რამოდენიმე წლის წინეთ „მოგზაურში" იყო დაბეჭდილი წერილი საგურამოდან ილიას და მის გლეხებს შორის ამტყდარ უთანხმოების შესახებ. „ისარის" აზრით ამ წერილმაც მოამზადა მკვლელობის ნიადაგი, ე. ი. ავტორი წერილისა, ასე ვთქვათ, „სულიერი მკვლელია" ილიასი. ეს საბუთიც ერთიანათ რუსეთის შავრაზმელებისაგან არის ნასესხები. მოგეხსენებათ ის ლიტერატურული კომპანია, რომელიც შარშან ასტეხეს შავრაზმელებმა „რუსსკოე ზნამიას" და „ნოვოე ვრემიას" ფურცლებზე ცნობილი მწერლის კოროლენკოს წინააღმდეგ, რომელმაც მწერლობაში გამოააშკარავა მთავრობის ერთი წარმომადგენლის (ლუჟენოვის) მოქმედება სოფელში, რის გამო შემდეგ ის მოკლეს. აქ მართლაც არის კავშირი ამ ორ ფაქტს შორის: ჯერ კოროლენკოს წერილი და შემდეგ დაუყოვნებლივ მოკვლა! შავრაზმელებმა მორთეს ყვირილი—„სულიერი მკვლელი" კოროლენკოა, დაატყვევეთ ისო. ამას წინააღუდგა მთელი ოპოზიცია. და მართლაც, თუ კოროლენკო დამნაშავეა, მაშინ ხომ გაუქმდა პრესის თავისუფლება, ვინაიდან კერძო პირების შესახებ წერა ყოვლად შეუძლებელი ხდება და ასე, ბოროტ-მოქმედება და ტირანია აუღაგმავი რჩება. კოროლენკოს არა თუ იურიდიული, არამედ მორალური პასუხისმგებლობაც კი ნიშნავს პრესის ერთიანათ გათახსირებას და სასტიკ ცენზურაში ჩაყენებას.

და აი, „ისარმა" წელს წამოაყენა ის საბუთი „მოგზაურის" წინააღმდეგ, რაც შარშან „ჭეშმარიტ რუსებმა" წამოაყენეს კოროლენკოს წინააღმდეგ. მაგრამ თუ უკანასკნელთ კიდევ ქონდათ მცირე მიზეზი მაინც, რადგან მკვლელობა მოხდა კოროლენკოს წერილის შემდეგ დაუყოვნებლივ, რა ალაპარაკებს „ისარს" ამასვე, როცა „მოგზაურის" წერილსა და ილიას მკვლელობას შორის რამდენიმე წელიწადი გავიდა? ნუ თუ ჭკვაში მყოფელ კაცს შეუძლია ამტკიცოს, რომ ოდესღაც „მოგზაურში" დაბეჭდილი წერილი წელს წაიკითხა ვიღაცამ და იმის გავლენით მკვლელობა ჩაიდინა? როცა ძლიერი აგრარული მოძრაობა იყო, მაშინ ხელი არავის უხლია ილიასთვის, ცხადია, „მოგზაურის" წერილს სრულიად არ გამოუწვევია ილიას პირადობასთან შეტაკება, მან ხელი შეუწყო მხოლოდ მასსიურ მოძრაობას, გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებას და არა მკვლელობას, პირიქით, მკვლელობა ხდება მაშინ, როცა პრესა შებოჭილია, მოძრაობა ბორკილ დადებულია, ხალხი ნამდვილ გამოსავალს ვერ პოულობს, ის მის გულში იხარშება და შურისძიებას წყებულობს. ამიტომ მწერლობას სარგებლობა მოაქვს ორივე მხარისათვის. „მოგზაურის" წერილმა საიდუმლო სენი გარეთ გამოიტანა; ამით ორივე მხარე გააფრთხილა და მოლაპარაკების გზა უჩვენა. ან შეიძლება „ისარს" ჰგონია არიან ისეთი ყუპირატესნი, რომელთა მხილება მწერლობაში არ შეიძლება? ის ალბათ ასე ფიქრობს, მარა დემოკრატიისათვის ეს არ არსებობს. პირიქით, ვისაც მეტი აქვს—მეტი მოეთხოვება, ცნობილ პირებზე და მათ მოღვაწეობაზე ყოველგან სწერენ, მათ თითოეულ შეცდომას ნუსხავენ. ისინი საზოგადოებას ეკუთვნიან მთელი თავისი მოქმედებით. „ისარის" გოდება—ილიასაც კი შეეხნო, უბრალო რეაქციონური ჩმახვაა.

როგორც ხედავთ, „ისარის" მთელი ლოღიკა და დასაბუთება შავრაზმულია, მისი ერთი რომელიმე ნაწილის ცნობა რევოლიუციის პირდაპირი უარყოფაა. მისი მორალის მიღება პრესის დაცემაა, და ძველი „კაი დროის" მობრუნებაა. და რამდენათ ეს „ისარმა" მოიმოქმედა და ილიას საფლავზე თავისი განგაში ასტეხა, იმდენათ ის შეიქნა საქართველოს ბნელი ძალების შემომკრები და წინამძღოლი. ამიერიდან ბანაკები ჩამოყალიბებულია: ერთი მხრით დგას ყველა გაბატონებული კლასი და ყველა პარტია ფედერალისტების მეთაურობით, მეორე მხრით კი—ერთად ერთი სოციალდემოკრატია. ის არის მარტო, მარა მის მარტოობაში იხატება მთელი მისი სიძლიერე. არჩევა თვალხილულთათვის გაადვილებულია.

დასასრულ უნდა ვაღიარო, რომ პოლემიკის ატეხა განსვენებულის სახელის გარეშემო, თუნდაც ეს მას პირდაპირ არ ეხებოდეს, მეტათ უხერხულათ მიმაჩნია, და თუ მაინც ეს წერილი დავსწერე—ამის მიზეზი მოკითხეთ ფედერალისტებს, რომელთაც გლახა ქრიაშვილივით არ გაათავეს თავისი განგაში და რომელთა შესახებ განსვენებულ ილიას ერთი რამ ეთქმის: ღმერთო მაშორე ასეთ მეგობრებს...

28 სექტ.

ნ. ჟ.

მოვიწვიოთ ჩვენი საქმის დამცველებათ ისეთი იურისტები, რომლებიც სოც.-დემ. პარტიას არ ეკუთვნიან. ცენტრალურმა კომიტეტმა დადასტურებით უპასუხა; ამას გარდა მან თავის მხრივ შეადგინა კომისია ბრალდებულ დეპუტატთა დაცვის მოსაწყობათ.

**სენატი შეუდგა** იმ შუამდგომლობათა განხილვას, რომელიც აღძრეს სოც.-დემ. ფრაქციის ზოგიერთმა დატუსაღებულმა წევრებმა სატუსაღოდან განთავისუფლების შესახებ.

**მთავრობის დეკლარაცია მე 3 დუმაში.** გაზეთების სიტყვით, მთავრობას უკვე შეუდგენია მესამე დუმაში წასაკითხი დეკლარაცია. მასში დადასტურებული ყოფილა 17 ოქტომბრის მანიფესტის საფუძველთა შეურყევლობა, მაგრამ ამავე დროს აღნიშნულია საჭიროება—პირველ ყოვლისა განმტკიცებულ იქნას რუსეთის საერთაშორისო „სიმძიმე“, აღდგენილ იქნას მისი „პრესტიჟი“ და სამხედრო ძლიერება. ადგილობრივი თვითმართველობის და სასამართლოს შესახებ აღიარებულია მათი რეფორმის სასურველობა, „მოქალაქობრიობის და კანონიერების საფუძველთა“ გასამაგრებლათ. მაგრამ, დეკლარაციის აზრით, საჭიროა ეს რეფორმა მოხდეს ისეთ საფუძველზე, რომელიც ეთანხმება ისტორიულ ტრადიციებს და მცხოვრებ მასსის და მიწათმომქმედ კლასის კულტურულ დონეს. დეკლარაცია მოკლეთ ხსნის პირველ ორი დუმის მარცხის მიზეზებს, მოიწოდებს ხალხს მთავრობასთან თანხმობით მუშაობისაკენ და ურჩევს მას უკუაგდოს ყოველგვარი პარტიული კარჩაკეტილობა და შეუწყნარებლობა, სამშობლოს სასიკეთოთ. განსაკუთრებული სეფესიტყვა განზრახული არ არის.

**ფინლიანდიაში სიეზდის გამართვის წინააღმდეგ.** პოლიციის დეპარტამენტი შეუდგა ზომების შემუშავებას—ფინლიანდიაში ნება-დაურთველ პარტიების მიერ სიეზდის გამართვის წინააღმდეგ. განზრახვა აქვთ წინადადება მისცენ ფინლიანდიის მთავრობას სასტიკათ ადევნოს თვალ-ყური ასეთ სიეზდებს და ნება არ დართოს მათ გამართვას.

**„სფერებში“.** კადეტების ლიდერის მილიუკოვის უკანასკნელმა წერილებმა და საზოგადოთ კადეტების მარჯვნივ გადახრამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სფერებზე და ძალიან შეაფიქრიანა ბევრი ბიუროკრატები. ესენი „ცბიერ განზრახვებს“ ხედვენ კადეტების ასეთ საქციელში. კადეტები მათ მიაჩნიათ თავის კონკურენტებათ და ამბობენ—ეს ვაჟბატონები თავიანთი გამარჯვებებით სამინისტრო პორტფელებს უჩოჩდებიანო.

**„პოლიტიკურთა“ მდგომარეობა.** ტობოლსკის გუბერნიიდან იუწყებიან, რომ იქ ამ ჟამათ ასარებელი პოლიტიკური გადასახლებულები არიან და დიდ გაჭირვებას ითმენენ: ვერც სამუშაოს შოულობენ და არც ისე არსაიდან სახსარი არ ეშოვებათ. ბევრი მათგანი იძულებული ხდება მოჯამაგირეთ დაექირაოს მდიდარ გლეხებს, რომლებიც ქირის მაგივრათ აძლევენ სადილს, ფქვილს და ტანისამოსს.

**აკრძალული წიგნები.** პოლიციის დეპარტამენტმა განკარგულება მოახდინა, რომ „ოხრანის“ განყოფილებამ და ბოქაულებმა თვალყური ადევნონ წიგნის მაღაზიებს და ნება არ მისცენ იქონიონ გასაყიდათ ცენზურის მიერ აკრძალული წიგნები, დამნაშავენი პასუხისგებაში მისცენ.

**მთავრობა და დუმა.** ფინანსთა მინისტრს კოკოვცევს, ერთ წარჩინებულ პირთან საუბრის დროს, უთქვამს: მთავრობა ყოველ გვარ ზომებს იხმარს, რომ წესიერი ურთიერთობა დამყარდეს მას და დუმას შორის; ბევრი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ ხელათ დუმა „მომუშავე“ გამოდგება და ამ ჟამათ მთავრობა არ მოელის არავითარ მწვავე შეტაკებასო. მინისტრმა გადაჭრით უარყო, თითქო კონფლიქტი მოსალოდნელი იყოს ბიუჯეტის ნიადაგზე.

**რეპრესიები.** ქ. ლოძში პროფესიონალურ კავშირის ბაღს „ერთობას“, როცა იქ სეირნობა იყო, გარს შემოარტყეს ჯარი, გაჩხრიკეს მოსეირნენი და დაატუსაღეს ოთხი კაცი. ჯარი შემოარტყეს აგრეთვე რკინის გზის ბაღს, იქაც გაჩხრიკეს ხალხი და დააპატიმრეს 12 კაცი.

### მუშათა შორის.

პეტერბურგის მუშათა შორის ამ ბოლო დროს თავს იჩენს პროტესტი იმის გამო, რომ ბოლშევიკები მტრულათ ეკიდებიან პლეხანოვის წერილებს. მუშათა ზოგიერთ ჯგუფებს რეზოლიუციები გამოუტანიათ, რომლებითაც სრულ თანხმობას უცხადებენ პლეხანოვს. ერთ რეზოლიუციაში, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვებია: „ცენტ. კომიტეტის პლატფორმა უცოდველ პაპის ეპისტოლე რადია“.

### წერილი რედაქციის მიმართ.

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ მცირე შენიშვნას თქვენს პატივ ცემულ გაზეთში.

ამა წლის 25—27 მაისს დანიშნული იყო სავაჭრო საკომისიონერო ამხანაგობის „გეორგია“-ს საზოგადო კრება განსახილველათ ამხანაგობის საქმეებისა და ანგარიშებისა. ამხანაგობის დაარსების დღიდან ე. ი. 1903 წ. ეს კრება პირველი იყო და ვგონებ უკანასკნელიც ეს დარჩეს.—ეს ამხანაგობა სამწუხაროთ „ნდობაზეა“ დამყარებული და ის არავითარ საზოგადო წესებს და არც სახელმწიფო კანონს არ ემორჩილება.

კრების გახსნის შემდეგ, ამხანაგობის გამგემ. ბ. იასე მეხუზლამ მოკლეთ აუხსნა კრებას ამხანაგობის მდგომარეობა, სხვათა შორის, მან სთქვა: „ამხანაგობა საშუალო მდგომარეობაშია, არც მოსაგებია, არც წასაგებია, საწევრო ფული უკლისათ არის და მზათ ვარ მსურველ წევრს დღესაც ჩავაბაროვო“ მომავლისათვის კი ბ. გამგე ოქროს გორებს ჰპირდა ამხანაგობის წევრებს. წევრებმა გამგეს ამხანაგობის წესდება მოსთხოვეს; მაგრამ წესდება ორი წლის უკან ქუთაისში თუ ჭიათურაში დაკარგულა და ამხანაგობა უწესდებოთ მოქმედებდა, რაც აშკარათ ემჩნეოდა მმართველის და მისი მდივნის აბდა-უბდა ლაპარაკს და წარმოდგენილ ანგარიშებს. რადგანაც ყველა წევრებს სახლში მიეჩქარებოდა, დაწვრილებითი ანგარიშის მოსმენის დრო არ ქონდათ, და ანგარიშებიც შეუმოწმებელი იყო, ამისათვის არჩეულ იქნა სარევიზიო კომისია, რომელსაც სთხოვეს გამოერკვიათ ყოველი ანგარიში, შეემოწმებინათ ადგილობრივ და დაწვრილებითი ანგარიშები წარმოდეგინა მოკლე მომავალში საზოგადო კრებისთვის, რომლის მოწვევა კრებამ დაავალა კომისიას.—მას მერე გადის თვეები; სდუმს კომისია, მმართველი და წევრები. ჩვენი მმართველი ახალ-ახალ საქმეებს ეპოტინება და ძველი ვგონებ სულ გაავიწყდა.—კარგი იქნება არჩეული სარევიზიო კომისიის წევრები კეთილ ინებებდენ და კრების დანიშვნას დააჩქარებდენ.

**წევრი.**

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგ.)

6 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** მწარმოებლებმა თხოვნა შეიტანეს სავაჭრო სამინისტროში შემცირებულ იქნას რკინის გზის ტარიფი საზღვარგარეთ გასატან რკინასა, თუჯსა, ფოლადზე და აგრეთვე ფინლიანდიაში შესატან რკინეულობის საქონელზე.

**ვლადიკავკავი.** გროზნის ოკრუგში აღმოაჩინეს დიდძალი მარმარილოს მადნები.

**იურიევი.** ვიღაცამ, სტუდენტის ფორმაში გამოწყობილმა, ტყეში მოჰკლა სალდათი.

**ირკუტსკი.** ევსეევის მახლობლათ თავს დაესხენ სახელმწიფო ღვინით სავაჭრო ხარჯის ამკრეფს. დაიჭრა სტრაჟნიკი და მოკლულია მეეტლე. წაიღეს 2000 მან.

**რიგა.** დუბელნაში ხერხის ქარხნიდან გაიტაცეს 700 მანეთი. სროლის დროს დაიჭრა 2 გოროდოვოი და ერთი დამცემი, რომელიც თან წაიყვანეს ყაჩაღებმა.

**სიმფეროპოლი.** ქალაქის მახლობლათ საკუთარ სახლში მოუკლავთ ორი მდიდარი ბერძენი. წაუღიათ 4000 მანეთი.

**ბათუმი.** ერთი ჯგუფი ოსმალოელი სომხებისა თავის სამშობლოში ბრუნდებოდა, მაგრამ, რადგანაც აკრძალულია სომხების ოსმალეთში დაბრუნება, ისინი ჩუმათ გადაპარულან საზღვარზე. მახლობლათ „შეხვედრიან ოსმალოს ჯარს კაცებს, რომლებსაც აუტეხიათ სროლა და 6 კაცი მოუკლავთ; ამათგან ორი გზის მაჩვენებელი თათარია და 4 სომეხი.

**ქუთაისი.** ხუთ ოქტომბერს ს. ბერვატოულის მახლობლათ მოუკლავთ ორი სტრაჟნიკი და დაუჭრიათ ერთი.

**კრასნოიარსკი.** ექვსი შეიარაღებული უცნობი შეიჭრა რკინის გზის საკრებულოში, აართვეს იქ კარტის მოთამაშეებს 2000 მანეთი და მიიმალენ.

**რადომი.** ოსტროველში დასჭრეს ორი სტრაჟნიკი.

**კიევი.** ჩერნობილის მახლობლათ იწვის დიდი სახელმწიფო ტყე.

**ჩიტა.** აღმოაჩინეს ხვრელი ადგილობრივი საფოსტო კანტორის ქვეშ. დაიჭირეს 3 კაცი.

ხ ო ლ ე რ ა

**კიევი.** ავათ გახდა 88 კაცი, მოკვდა 15.

**კრემენჩუგი.** 5 ოქტ. გაჩნდა ხოლერა, ავათ გახდა ერთი კაცი და მოკვდა 1.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ხოლერის გაჩენიდან ავათ გახდა 468 კ. მოკვდა 222.

**სიმბირსკი.** გუბერნიაში ავათ 13 კაცი, მოკვდა 1.

**მოსკოვი.** მოსკოვის მახლობლათ სოფ. პეტროვკაში აღმოჩნდა ხოლერა.

**პენზა.** ავათ გახდა ხოლერით 4 კაცი.

**ტომსკი.** ავათ გახდა 5 კაცი.

**პოლტავა.** ავათ გახდა ხოლერით ერთი კაცი.

**კიევი.** 6 ოქტ. ავათ გახდა 101 კაცი, მოკვდა 14.

უ ც ხ ო ე თ ი

**მილანი.** მდინარე ებიპო და ტიჩინო ძალზე ადიდდენ. ქ. ვომოს ნაწილი წყალშია.

**რომი.** პრესა დიდ პროტესტს აცხადებს მოსალოდნელ რკინის გზის მუშათა გაფიცვის შესახებ და დამარცხებას უწინასწარმეტყველებს მათ.

**თეირანი.** კირმანის გუბერნატორმა აცნობა მეჯლისს, რომ ის იძულებული იყო, სროლა აეტეხა შეიარაღებული ხალხისათვის, რომელიც გუბერნატორის სახლზე იერიშით მოდიოდა. პირიქით, მთავრობის მოწინააღმდეგე მოლებე ბი აცხადებენ, რომ გუბერნატორმა სრულიად უმიზეზოთ უბრძანა სროლა, რომლის დროსაც მოკვდა 7 და დაიჭრა 15 კაციო.

მეჯლისის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სამინისტროს კაბინეტი სამსახურიდან გადადგომას აპირობს, თუ ორი დღის განმავლობაში ფულს არ ჩავაბარებთ.

**რომი.** რკინის გზას მუშათა აღმასრულებელმა კომისიამ უარი სთქვა გაფიცვაზე.

რედაქტორ-გამომცემელი

**იოსებ ზ. გიორგობიანი**


# განცხადებანი

## „გუტემბერგის“

**წიგნის მაღაზიაში, თფილისი, შტაბის ქუჩა, № 2.**

მიღებულია სხვადასხვა სახელმძღვანელოები რუსულ, ფრანგულ და ნემეცურ ენებზე, აგრეთვე სხვადასხვა წიგნები მოზრდილთა და ბავშვებისათვის. წიგნები იგზავნება ფას-დადებით. „ზაკაზები“ სრულდება დაუყონებლივ და წესიერათ. თუ „ზაკაზი“ გადაცილდა 3 მან. იმ ემთხვევაში საჭიროა ბე. (3—ფ.—2)

**ახალი სამოსახლოები**

## იყიდება

ვერაზედ „სალხინოსა“ და მალაკნების უბან შუა, მაკაროვების ადგილებში. ძვირფასი ადგილებია და საუკეთესო სამოსახლოები საბურთალოზედ, სამხედრო სოშეს გზის პირზე, მუშტაიდის პირდაპირ მტკვარს გაღმა. სამოსახლოები ასიდან ას ოც ოთხ-კუთხედ საჟენამდეა, ფულის შეტანა თვე და თვე, ექვსი თვის განმავლობაში, 1 სექტემბრიდან, ფულის შემოტანის შემდეგ დაუმტკიცდებათ ადგილები. ვისაც ნებავს, შეუძლიათ მოიკითხოს „ახალშენი“-ს კანტორაში სევასტი გაჩეჩილაძეს, სასახლის ქუჩაზე, თავადაზნაურობის სახლში და ვერის დაღმართზე იქ, სადაც უწინ იყო ქალაქის საყასბო და დღეს იყიდება ალექსანდრე გაბაევის ადგილები—ბაგრატ თოროზოვს. ფასებსაც იქ გაიგებენ.

**გამგენი:** სევასტი მიხ. გაჩეჩილაძე, ბაგრატ თოროზოვი და ისააკ ბახტაძე (10—ფ.—9)


### მატარებლის მიმოსვლა

(18 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე)

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—თფილისისა)

**თფილისიდან მიდის**

**ბაქოს:** 1) სწრაფი (როსტოვისა), დილის 6 საათზე (6 ს. და 58 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 7 ს. 36 წ. (8 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო დილის 8 ს. 5 წ. (9 ს. 3 წ.)

**ბათუმს:** 1) სწრაფი, ღამის 11 საათზე (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 12 ს. 5 წ. (1 ს. 3 წ.)

**ბორჯომს:** 1) ნაშუადღევის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.); 2) დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.)

**ერივანსა და ყარსს:** 1) საფოსტო, ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 2) მამგზავრო, შუადღის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.)

**თფილისში მოდის**

**ბაქოდგან:** 1) სწრაფი (როსტოვისა), ღამის 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 11 ს. 33 წ. (12 ს. 31 წ.) 3) სამგზავრო, ღამის 11 ს. 35 წ. (12 ს. 33 წ.)

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი, დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.); 3) სამგზავრო, დილის 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.)

**ბორჯომიდან:** 1) დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.) 2) საღამოს 9 ს. 2 წ. (10 ს.)

**ერევან-ყარსიდან:** 1) საფოსტო, დილის 4 ს. (5 ს. 58 წ); 2) სამგზავრო, ნაშუადღევის 5 ს. 15 წ. (5 ს. 13 წ.)


# კლინიკა

კბილის ავათმყოფობისა

## ლ. შტრეიხერისა

**კბილის ხაექიმო სკოლასთან**

ერევნის მოედანი, (პუშკინის ქ., 3).

ავათმყოფების მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. კვირაობით 9-დან

ფასი მკურნალობისა:

| | | |
|---|---|---|
| საექიმო რჩევა საზოგადოთ | . | 20 კ. |
| ერთი კბილის ან ძირის ამოღება | | 20 „ |
| კბილის გაწმენდა | . . | 50 „ |
| არის უფრო ძვირიც: | | |
| პლომბა გუდაპერჩისა | . . | 50 „ |
| „ „ ცემენტისა | . 1 მ. | |
| „ „ მეტალიური | . 1 „ | |
| „ ვერცხლისა ამალგმა | 1 „ | „ 50 „ |
| „ „ ემალისა | . 1 „ | „ 50 „ |
| „ „ ფაიფურისა | . 3 „ | „ 50 „ |
| არის უფრო ძვირიც 5 მანეთამდე: | | |
| „ „ წმინდა ოქროსი | . 3 „ | |
| უფრო ძვირიც. | | |
| ხელოვნ. კბილები კაუჩუკზე | 1 კბილი: | |
| „ „ დიოტორიტიული | 1 „ | |
| „ „ კრამპონისა | . 1 | 50 „ |
| ხელოვნ. კბილ. კაუჩუკზე ოქროს კავებით: | | |
| „ „ თითო კავი | 1 | „ |

# ! НОВОСТЬ !



Химическій карманный папиросозажигатель

**„Янусъ“**

Цѣна 50 коп.

Торговцамъ скидка

*К. Бобыловъ.*

*Тифлисъ, прот. Александровскаго сада.*

3—1

# ავადმყოფებს და სუსტებს „სპერმატინი“

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით, არის „სპერმატინი“. იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების ესენციაა, იგი ძალის მომმატებელია. „სპერმატინი“ მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშორებს რა მავნე ელემენტებს, ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის“ ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის განმანადგურებელ დრო-ჟამთან. „სპერმატინი“ შედეგია ბროუნ-სეკარის შესანიშნავ აღმოჩენისა. ჰშველის ყველაფერს: სისხლნაკლებობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს, გადაჭარბებულ დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს, ონანიზმის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, ჰლექს, ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას, ბუასილს და სხვას. ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

**ავადმყოფთა წერილები.**

„**მ. ხ. ბ. ახობაძევ!** თითმის მთელი ხუთ ი წელი ვიტანჯებოდი სისხლ-ნაკლულევანებით. უკანასკნელს წელიწადს ნერვები ძალიან ამეშალა. რაც დრო გადიოდა, უარესათ ვხდებოდი და მაკლდებოდა ჯანი, დამეკარგა მადა ჭამისა, ძილი და ენერგია. დამიწყო ფეხებმა ტკივილი, თავის ტკივილი. ამ ხუთის წლის განმავლობაშიდ ვღებულობდი სხვადასხვა წამლებს—გამოწერილს სხვადასხვა ექიმებისაგან, მაგრამ ამაოთ ჩაიარა წამლობამ და დავკარგე მორჩენის იმედი. ამ დროს გავიგე, რომ თფილისში იყიდება წამალი ყოველგვარ ავათმყოფობისა—„სპერმატინი“ ბატონ ახობაძესთან, წარმომადგენელთან მოსკოვის ივანოვის ლაბორატორიისა. მოსკოვის ქუჩ. № 4. ვიყიდე ერთი ფლაკონი და ვიწყე მისი იღება. ერთის კვირის განმავლობაში ვგრძენი სატკივრის შემსუბუქება, გავთავისუფლდი ყველა იმ ავათმყოფობისაგან, რომლითაც ვიტანჯებოდი ხუთ წელიწადს. იმედი მაქვს, რომ სპერმატინი მომანიჭებს ჩემს დაკარგულს ჯანს. ამით დავივიწყებ ჩემს წარსულ უბედურებას, თუ რომ გადამარჩენს ექიმების რეცეპტებს და ვიზიტებს, ჩემთვის უსარგებლოს. პატივის ცემით **ვ. მნაცაკანოვისა**“. თფილისი, 22 აგვისტო.

„**მ. ხ. ბ. ივანოვ!** სიტყვა ვერ გამომიძებნია მადლობის გამოსაცხად ებლად თქვენის სასწაულთ-მომქმედ „სპერმატინისთვის“. 10 წელზე მეტს ვიტანჯებოდი ძალისისუსტით, გულის ფრიალით, ხველებით, ნერვების დაუძლურებით. იქამდე მივედი, რომ თავის მოკვლა ვანვიზრახე. ერთ წუთს მოსვენება არა მქონდა, ყველაფერი მაბრაზებდა, სულ მცირე რამეც. ყველაფერზე ვტიროდი, „სპერმანის“ ორი ფლაკონის მიღების შემდეგ მხნედ ვიგრძენ თავი, სიმშვიდე მომეფინა, გული დამიმშვიდდა, ძილი და მადა დამიბრუნდა, ერთის იტყვით—სულ განვახლდი. ყველა ამისთვის გულწრფელად გმადლობთ და ღმერთს ვევედრები თქვენთვის. თქვენი პატივისმცემელი **ნ. ბოსსი**. მოსკოვი, მე-2 მეშჩანსკაია, ს. პოლიაკოვისა, № 11, 2, № 21. 24 ნოემბერი 1906 წ.“.

„**მ. ხ. ბ. ივანოვ!** სიამოვნებით ვაცხადებ, რომ ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიის „სპერმატინმა“ დიდი შვება მოგვცა მე და ჩემ ცოლს ნერვების მოშლისა და ტანჯვის დროს. მოსკოვის ბავშვთა სოფის საავადმყოფოს მეაფთიაქეს თანაშემწე **ხ. კიუმეინკერ.** 19 აპრ. 1907 წ.“

„ივანოვის „სპერმატინის“ ლაბორატორიაში („სპერმინი“). მ. ხ. მე ვიტანჯებოდი დიდი ხნის ბუასილით და ნერვების დაუძლურებით, აგრეთვე მიკანკალებდა ხელები. ვცადე თქვენი „სპერმატინი“ და თუმცა წამლობის დროს გარემოება ხელს არ მიწყობდა, მაინც ვამოწმებ, რომ ჩემზე მან კარგად იმოქმედა: განვახლდი და გამოვკეთდი. გადავწყვიტე ვისარგებლო მეც და ჩემმა ოჯახობამ. იგი საუკეთესო სამამაგრებელი საშუალებაა. პატივისცემით **ხ. ნ. ივანოვი**. მოსკოვი, როგოჟსკაია, 3 პერ., ს. ივანოვისა, 1 მაისი 1907 წ.“.

„სპერმატინი“ განვლილი წლის ბოლომდე ვრცელდებოდა ამ სახელით „სპირმანი“ ნ. ნ. ივანოვი და ამხ. სახელით, ეხლა-კი, ნ. ნ. ივანოვის სიკვდილის შემდეგ, იგი მზადდება იმის. მის ვ. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში რეცეპტის შეუცვლელად. „სპერმატინ“-მა ნ. ნ. ივანოვისამ, დღეს კი, „პერმატინმა“ ი. ნ. ივანოვისამ დაიმსახურა აუარებელი სამადლობელი წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო რუსეთში, ლონდონში, პარიზში, და ბრიუსელში

უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას. წიგნაკები უფასოდ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-დე 65 კ. შუა აზიაში ორჯერ ძვირია აღმოსავლეთ ციმბირში—სამჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, მხოლოდ წანდაწინვ უნდა გამოიგზავნოს ბე ფოსტის მარკებით ან ფულით—მესამედი ფასისა.

**წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. ახობაძე.** თფილისი, მოსკოვის ქუჩა, გევისა № 4. **უბეოდ საქონელი არ იგზავნება.** (0—3)


მსწრაფლმბეჭდავი ამხ. „სორაპანი“ მადათოვის კუნძული, მუხრანსკისა სახლი № 1.